

№ 1090



1090

***** ფ ა ს ი *****
კერძო პირთათვის 15 კაპეიკი.
სახელმწიფო დაწესებულ. 10 კაპ.

მრეწველურებო ვეელა ქვეინსა, შეეერთით!

ვალიჲადი
მისამე

მთაბე

პარასკევი,
25 მაისი,
1923 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 51

ეოველ კვირეული ორგანო.

№ 51

ქურნალ „მთაბე“-ს რედაქციისაგან.

ვეელა ხელის მოძწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საეურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ეურნალი უფასოდ არავის გაეგზავნება.

ეველა ხელის მოძწერი ვალდაგულია გადაიხადოს მათეა დარეკნილი ხელის მოძწერის ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოასკობათ ქურნალის გზავნა.

ეოველგვარი განცხადების ფასი: სტრიჲონი—30.000 მანეთი.

დოკუმენტების დაკარგვის შესახებ დასაგეჲდი განცხადებების ფასი 100.000 მანეთი.


ეურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჲდება მხოლოდ ეულის შემოტანის შეჲდეგ.



რედაქცია ღიაა დღის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ეოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 8—59.



ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა

სენბრ. ალმასრულ. კომიბ.

დეკრეტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. — მემკვიდრეობის სამართლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სა-
მოქალაქო კოდექსის გამოცემამდე, სრულიად საქა-
რთველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტი ადგენს:

1. კანონით და ანდერძით დამკვიდრება,
ქვემოყვანილი მუხლების თანახმად, შეიძლება სა-
მკვდრო ქონების საერთო ღირებულების იმ ფარ-
გლებში, რაც გარდაცვალებულის ყველა ვალის
გამოკლებით 10.000 ოქროს მანეთს არ აღემატება.

შენიშვნა. ის უფლება, რომელიც სა-
ხელმწიფო ორგანოს მიერ კერძო პირთან
დადებულ ხელშეკრულებიდან (საიჯარო,
საკონცესიო, სააღნაგო და სხვ.) გამომდინა-
რეობს, როგორც სამკვიდროს დამტოვებლის
გარდაცვალების დროს, ისე შემდეგშია ც
გადადის კანონით და ანდერძით დამკვიდრების
წესისამებრ თვინიერ ამა მუხლში დაწესებული
უკიდურესი ღირებულებისა.

2. უკეთეს სამკვიდროს საერთო ღირებულება
10.000 ოქროს მანეთს აღემატება, სახელმწიფო, —
ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სა-
ხით და კანონით ან ანდერძით სამემკვიდრეოთ
გამოწვეულ კერძო პირთა შორის უნდა მოხდეს სა-
ხელმწიფოს ღირებულებულ ორგანოს სასარგე-
ბლოდ გაყოფა ან დალიკვიდაცია სამკვიდრო ქო-
ნების იმ ნაწილისა, რომელიც სამკვიდროსათვის
დაწესებულ უკიდურეს ღირებულებას აღემატება.

უკეთეს სამკვიდრო ქონების გაყოფა, ამ ქო-
ნების შექადგენელ ნაწილთა ხასიათის გამო, მეუ-
რნეობის მხრით ხელსაყრელი არ არის და მოუხე-
რხეველია, უნდა დამყარდეს სახელმწიფო ორგა-
ნოებისა და კერძო პირის საერთო მფლობელობა,
ან დაწესდეს სათანადო ნაწილის გამოსყიდვის უფ-
ლება სახელმწიფოს ან კერძო პირის სასარგებლოდ,
თუ ეს სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით
შესაძლებელია.

3. იმ პირთა წრეს, რომელნიც კანონით ან
ანდერძით სამემკვიდროდ უნდა იქნენ გამოწვეულნი,
შეადგენენ მხოლოდ პირდაპირი შთამომავალნი
(შვილები და შვილის-შვილები), გარდაცვალებუ-
ლის ცოცხალი მეუღლე, აგრეთვე შრომის უნარს
და ქონებას მოკლებული პირნი, რომელთაც გარ-
დაცვალებული ფაქტიურად და მთლიად ინახავდა
თავის სიკვდილამდე არა ნაკლებ ერთი წლის განმავ-
ლობაში.

შენიშვნა. მემკვიდრედ შეიძლება იყოს
მხოლოდ ის პირი, რომელიც ცოცხალია
სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილის დროს,
აგრეთვე მის სიკვდილში ჩასახული და მისი
სიკვდილის შემდეგ დაბადებული შვილი.

4. კანონით დამკვ დრება ქონებისა, მისი ღი-
რებულების იმ ფარგლებში, რაც პირველ მუხლში
აღნიშნული, შეიძლება ყოველთვის, როდესაც და
რამდენადაც იგი ანდერძით არ არის შეცვლილი.

5. კანონით დამკვიდრების დროს სამკვიდრო
ქონება უნდა გაყოფილ იქნეს თანასწორ წილად
და კაცის თავზე მესამე მუხლში აღნიშნულ ყველა
პირთა შორის.

შენიშვნა. სახლის ჩვეულებრივი მოწყო-
ბილობა, ფუთუნების საგნების გარდა, არ
ჩაითვლება პირველ მუხლში სამკვიდროსა-
თვის — დაწესებულ უკიდურეს ღირებულებ-
აში და გადადის თანასწორედ 3 მუხლში
ჩამოთვლილ იმ მემკვიდრეებზე, რომელნიც
გადაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ,
ან იმ პირებზე, რომელნიც ანდერძში არიან
აღნიშნული.

6. ანდერძად ჩაითვლება სიკვდილის საშემთხ-
ვევოდ გაცემული წერილობითი განკარგულება,
რომ ქონება მიეცეს მესამე მუხლში აღნიშნულ-
თაგანს ერთს ან რამდენსამე პირს, ან იგი ქონება
განაწილებულ იქნეს ყველა ამ პირთა ან მათგან
რამდენისავე პირს შორის სხვა გვაჩი წესით და
არა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია 5 მუხლში.

შევიშვნა. 1. მოანდერძეს შეუძლიან
კანონით მემკვიდრეობის უფლება მოუსპოს 3
მუხლში აღნიშნულ პირთაგანს ერთს, რამდენ-
ნიეს ან ყველას. პირველ ორ შემთხვევაში
იმათი წილი, ვისაც მემკვიდრეობის უფლება
მოესპო, განაწილებული უნდა იქნეს დანარ-
ჩენ პირთა შორის, ხოლო უკანასკნელ შემ-
თხვევაში სამკვიდრო გადადის სახელმწიფოს
ხელში.

შენიშვნა 2 მოანდერძეს უფლება აქვს
ქონება, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ
ღირებულებას არ აღემატება, ან ამ ქონების
ნაწილი დასტოვოს კულტურული, განმანა-
თლებელი ან სხვა კანონის არა საწინააღმდეგო
სახზადობრივი ან და სახელმწიფოებრივი
დაწესებულების განკარგულებაში.

7. მოანდერძეს შეუძლიან იმას, ვისაც ანდერ-
ძით სამკვიდრო ქონება ეძლევა დააკისროს რაიმე
ვალდებულების ასრულება ერთისა, რამდენიმესი
ან ყველა დანარჩენი კანონიერი მემკვიდრის სასარ-
გებლოდ, რომელთაც, ამ განკარგულების ძალით,
უფლება აქვთ მოსთხოვონ ანდერძით მემკვიდრეს
სათანადო ვალდებულების ასრულება.

8. შეიძლება დატოვება ისეთ ანდერძისა, რომ
მელშია ც, იმ შემთხვევისათვის, უკეთეს ანდერძით

დანიშნული შემკვიდრე შემკვიდრეობის გახსნამდე გარდაიცვალა, ან შემკვიდრედ დანიშნულმა უარი სთქვა დამკვიდრებაზე, მოანდერძე გამოიწვევს სამემკვიდროდ სხვა რომელსამე კანონიერ შემკვიდრეთაგანს.

9. ანდერძის პროექტი ხელმოწერილი უნდა იქნეს მოანდერძის მიერ და წარდგენილი სახალხო ნოტარიუსისათვის ხალხი იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, სახალხო მოსამართლისთვის სიგელთა დავთარში შესატანად. სიგელთა დავთარში შეტანილი და მოანდერძისა, ნოტარიუსისა ან მოსამართლის მიერ ხელმოწერილი ანდერძი დედანად ჩაითვლება.

უკეთუ მოანდერძემ წერა არ იცის ან მოანდერძეს არ შეუძლიან ხელის მოწერა (ხელის ავადმყოფობისა ან სხვა მიზეზისა გამო), მის მაგიერ ანდერძს ხელი უნდა მოაწეროს მესამე პირმა. სიგელთა დავთრიდან ამონაწერი დედნის სამაგიეროდ.

10. შემდეგში შედგენილი ანდერძით გაუქმდება წინად შედგენილი ანდერძი იმდენად, რამდენადაც წინანდელი ანდერძი არ შეიცავს ისეთ განკარგულებას, რომელიც კი გათვალისწინებული არ იქნება მერმინდელ ანდერძში. მოანდერძეს შეუძლიან ახალი ანდერძის შეუდგენლადაც გააუქმოს წინანდელი ანდერძი ნოტარიუსისათვის ან სასამართლოში განცხადებით, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს სიგელთა დავთარში ან სასამართლოს ოქმში, ნოტარიუსი ან მოსამართლე სიგელის ან ოქმის პირს გაუგზავნის იმ ორგანოს, რომელთანაც გაუქმებული ანდერძი ქმნილი იყო.

11. ანდერძი ასრულეში უნდა მოიყვანონ ანდერძით დანიშნულმა შემკვიდრეებმა, უკეთუ მოანდერძემ თავისი ნების ასრულება არ მიანდო განსაკუთრებულ პირს, ანდერძის აღმასრულებელს, მისი თანხმობით, რომელიც მან უნდა განაცხადოს თვით ანდერძშივე ან მასთან დართულ ცალკე განცხადებაში.

12. უთანხმოება და დავა, კერძო პირებს შორის ან კერძო პირებსა და სახელმწიფოს ორგანოთა შორის იმ საკითხების გამო, რომელიც შეეხება სამკვიდრო ქონების შეფასებასა, გაყოფასა და ანგარიშის გასწორების წესს, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

შენიშვნა. სამკვიდროს ქონების შეფასება ქალაქში მოხდება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სათანადო დადგენილებაში უსასყიდლოდ გადასასვლილ ქონებაზე სამკვიდროს ბაჟის გამოანგარიშების შესახებ.

13. მემკვიდრეობის გახსნისას სამკვიდრო ქონების დასაცავი ღონისძიება მიღებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრეობის გახსნის ადგილას არ იქნება ერთი ან რამდენიმე მემკვიდრე, ან როდესაც მემკვიდრენი არ ჩაიბარებენ სამკვიდრო ქონებას მათე გამგებლობას.

შენიშვნა 1: უარი დაკვიდრებაზე უნდა განცხადებულ იქნეს სათანადო სასამართლოსადმი სამი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნიდან, იმის წილი, ვინც კანონით დამ-

კვირებაზე უარს განაცხადებს გადადის სხვა მემკვიდრეზე 1 და 3 მუხლში აღნიშნული წესით და თარგალში.

შენიშვნა 2: თანამყოფ მემკვიდრეს შეუძლია არ დაუცადოს სხვა მემკვიდრის გამოცხადებას და ჩაიბაროს სამკვიდრო ქონების გამგებლობა: სხვაგან მყოფ მემკვიდრეს თავის დროზე გამოცხადებისას შეუძლიან მოითხოვოს სამკვიდრო ქონებიდან თავისი წილი.

14. მემკვიდრეს, რომელიც არ იქნება მემკვიდრეობის გახსნის ადგილას, შეუძლიან ჩაიბაროს სამკვიდრო ქონება პირადად ან რწმუნებულის მეშვეობით ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ან, თუ დასაცავი ღონისძიება იქნა მიღებული, ამ ღონისძიების მიღების დღიდან.

შენიშვნა: იმ მემკვიდრის წილი, რომელიც მემკვიდრეობის გახსნის დროს ჯერ დაბადებული არ იქნება, დაკულ უნდა იქნეს და შეიძლება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილ იქნეს სამი თვის განმავლობაში მემკვიდრის დაბადებიდან.

15. მემკვიდრეების გამოწვევა პუბლიკაციით ან სხვა საშუალებით არ უნდა მოხდეს, მაგრამ იმ ადგილის სახალხო სასამართლომ, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნება, როდესაც იგი ცნობას მიიღებს სამკვიდროს დამტოვებელის გარდაცვალების შესახებ, უკეთუ იქნება 13 მუხლისა და 14 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული პირობები, უნდა მიიღოს სამკვიდროს დასაცავი ღონისძიება. სამკვიდროს დაცვა გრძელდება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან არა უმეტეს ექვსი თვისა.

შენიშვნა 1: სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილება იმ ადგილისა, სადაც სამკვიდროს დამტოვებელი უკანასკნელ ვანს ცხოვრობდა, მისი სიკვდილის ამბის გაგებისათანავე მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ეს სათანადო სახალხო მოსამართლეს.

შენიშვნა 2: მემკვიდრეობის გახსნის ადგილად ჩაითვლება სამკვიდროს დამტოვებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, ე. ი. ის ადგილი, სადაც იგი სიკვდილის წინ მოუშვიად ან უპირატესად ბინადრობდა თავისი სამსახურისა და მუდმივი მოსაქეობის გამო, ან იმის გამო, რომ იქ მისი ქონება იყო.

16. უკეთუ თანამყოფი მემკვიდრენი მომქმედი საწაროსი (სავაჭრო ან სავრეწველო საწარმოო სახელოსნო და სხვა), ადგილობრივ არ იქნებიან, სახალხო მოსამართლემ უნდა დანიშნოს განსაკუთრებული პასუხისმგებელი მხრუნელი; მხრუნელი უნდა წარადგინოს ისეთმა სახელმწიფო ორგანომ, რომლის გამგებლობაშიც არას აკვეარივე საწარმო ან დწესებულეა.

17. უკეთუ მემკვიდრენი არ გამოცხადებიან ექვსი თვის განმავლობაში მას შედეგ, რაც სამკვიდრო ნების დასაცავად ღონისძიება იქნა მიღებული, აკრეფე უკეთუ მემკვიდრენი უარს იტყვიან დაკვიდრებაზე (8 მუხლში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა), ქონება ბეითალმანად ჩაითვლე-

ბა და სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარგულებაში გადავა.

18. მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს ჩაიბარებს და აგრეთვე სახელმწიფო, რომლის ხელშიაც ბეთალმანი გადავა, პასუხს აგებენ სამკვიდროს ვალეზისათვის, სამკვიდროს ქონების მხოლოდ ნამდვილი ღირებულების ფარგლებში.

შენიშვნა. სამკვიდროს დამტოვებელის კრედიტორი მოვალეა, რათა არ დაჰკარგოს მოთხოვნის უფლება, განაცხადოს თავისი პრეტენზია ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ან სამკვიდრო ქონების დასაცავი ღონისძიების მიღების დღიდან.

19. იმას, ვინც კანონით ან ანდერძით სამემკვიდრეოდ იქნება გამოწვეული, შეუძლიან ადგილობრივ სახალხო მოსამართლისაგან მიიღოს მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

20. ამა დეკრეტის წესები უნდა შეფარდებულ იქნეს სამკვიდრო ქონებისათვის, რომელიც ამა დეკრეტის გამოცემაზე მემკვიდრეებს თავისთვის ფაქტიურად არ ჩაუბარებიათ, ან რომლის გამოც არა ყოფილა დადგენილება მემკვიდრეობის უფლების დამტკიცების შესახებ.

შენიშვნა. იმ სამკვიდროს, რომელსაც შეადგენს მსხვილი მრეწველობის საწარმო, და რომელიც ჩაბარებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან (1921 წლ. თებერვლის 25-დან) ამა დეკრეტის გამოცემის დღემდე, უნდა შეეფარდოს ამა დეკრეტის წესი (1 და 3 მუხ.).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1923 წ. აპრილის 17. ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯის დებულების ძალაში შესვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ძალაში შესულად ჩაითვალოს გამოქვეყნების დღიდან, ამასთანავე დართული დებულებათა სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და ამა დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ.

რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ 1922 წ. მაისის 2-ს თარიღითა და 16-ით და ინენის 28-ს თარიღითა და 30 ნომრით გამოცემული დადგენილებანი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1923 წ. მაისის 4. ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ.

1. მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს უფლება აქვს, მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცეს თავისი რაიონის მცხოვრებთათვის სავალდებულო დადგენილებანი მართველობისათვის და წესიერების დაცვისათვის, აგრეთვე იმ მომქმედი დეკრეტებისა და დებულებათა განვითარებისათვის, რომელიც შეეხება საზოგადოებრივ უშიშროებას და წესიერებას, ხალხის ჯანმრთელობას, ვაჭრობის მოწესრიგებას, გადასახადთა აკრეფას, სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლას, სამშენებლო წესდებას და სხვ., ამასთანავე სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს სასჯელი, რომელიც ადმინისტრაციული წესით დაიდება ამ დადგენილების ღუსრულებლობისათვის.

2. სავალდებულო დადგენილება შეიძლება გამოცემულ იქნეს ერთ წლისაზე არა უმეტეს ვადით.

3. სავალდებულო დადგენილებას ხელი უნდა მოაწეროს აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარემ ან მისმა მოადგილემ და დაამოწმოს მდივანმა; სავალდებულო დადგენილება უნდა გამოქვეყნებულ იქნეს საყოველთაო ცნობისათვის.

4. აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებას და სხვა ადგილობრივ დაწესებულებას უფლება არა აქვს დამოუკიდებლად გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, მაგრამ თავისი მოსაზრება სავალდებულო დადგენილების გამოცემის შესახებ უნდა წარუდგინოს სათანადო მაზრის და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს; ამასთანავე პროექტი პრეზიდიუმს უნდა წარუდგინოს მართველობის სათანადო განყოფილებასთან წინასწარი შეთანხმებით.

5. ყველა გამოცემული სავალდებულო დადგენილება მართველობის სათანადო განყოფილებამ უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

6. მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელი



კომიტეტის სავალდებულო დადგენილება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სრულიად საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

7. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დამნაშავეს შეიძლება დაედოს:

ა) ჯარიმა ფულად არა უმეტეს 100 მანეთისა ოქროთი;

ბ) იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთლად ორ თვემდე;

გ) დარღვევა ორ თვემდე

8. უკეთეს სავალდებულო დადგენილება დარღვეულ იქნა, უნდა შესდგეს ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ ოქმის შესადგენათ უფლება მოსილი თანამდებობის პირი, აგრეთვე სავალდებულო დადგენილების დამრღვევი და მოწმეები. უკეთეს დამრღვევი უარს იტყვის ხელის მოწერაზე, ეს გარემოება ოქმში უნდა აღინიშნოს და თანაც ნაჩვენები იქნეს უარის მოტივი.

9. ოქმი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სათანადო ქალაქის ან მაზრის მმართველობის განყოფილებას, სადაც გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ადმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ; დადგენილება ძალაში შედის მმართველობის განყოფილების გამგის მიერ დამტკიცების შემდეგ.

შენიშვნა: უკეთეს ოქმიდან სჩანს, რომ სავალდებულო დადგენილების დამრღვევს პბრალდება ისეთი ქმედობა, რომელიც სასამართლოს წესით უნდა იქნეს დევნილი, საქმე ვადაცვება სათანადო პროკურორს ან მის თანაშემწეს შემდგომი წარმართვისათვის.

10. ადმინისტრაციული წესით სასჯელის დადების დროს დაცულ უნდა იქნეს შემდეგი:

ა) დადგენილებაში ნათლად უნდა იქნეს აღნიშნული დამრღვევის ვინაობა, მის მიერ ჩადენილი დარღვევა და აგრეთვე სასჯელის ოდენობა;

ბ) დარღვევა, რომელიც დამრღვევს ბრალდება, სისწორით უნდა შეეფერებოდეს იმ ქმედობას, რაც უწყებულ სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნული;

გ) ადმინისტრაციული წესით სასჯელი შეიძლება დაედოს დამნაშავეს ორი თვის განმავლობაში დღიდან დანარღვევის გამოაშკარავებისა;

დ) უკეთეს ადმინისტრაციული წესით სასჯელის დადებამდე სავალდებულო დადგენილების აღნიშნული დარღვევის საქმეს სასამართლო მიიღებს განსხილველად, დამრღვევი არ შეიძლება იპავე ქმედობისათვის ადმინისტრაციული წესით დაისაჯოს.

11. დადგენილება, რომელითაც სასჯელია დადებული, წერილობით უნდა იყოს და გამოეცხადოს იმ პირს, ვისაც ეს სასჯელი უნდა გადახდეს.

12. ადმინისტრაციული წესით დასჯილს, უკეთეს იგი უკმაყოფილო იქნება, შეუძლიან სთხოვოს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს მის წინააღმდეგ გამოტანილი დადგენილების გადა-

სინჯვა, ან ეს დადგენილება განასაჩივროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შეიდი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილების გამოტანისა. საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს დადგენილების სისრულეში მოყვანას.

13. ადმინისტრაციული წესით აშკარად უკანონო დადება სასჯელისა გამოიწვევს არა მხოლოდ დადგენილების გაუქმებას, არამედ იმ თანამდებობის პირის პასუხისმგებლობასაც სასამართლოს წესით, რომელმაც სასჯელი დაადო.

14. უკეთეს სავალდებულო დადგენილებას დარღვევს სამხედრო სამსახურში მყოფი პირი, მასზე დადებული სასჯელი სისრულეში მოყვანილ უნდა იქნეს სათანადო სამხედრო უფროსის მეშვეობით, რომელსაც უნდა გაეგზავნოს დადგენილება სასჯელის დადების შესახებ.

15. დებულება ესე არ გავრცელდება იმ ადგილებზე, სადაც სამხედრო წესები იქნება შემოღებული.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მაისის 4. ტფილისი — სასახლე.

სსსრ. კომისარიატ საბჭო.

დადგენილება № 88

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატ საბჭოსი.

გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებებში საბჭოთა ხელასუფლების დამყარებამდე წარმოებული საქმეების მოსპობის შესახებ.

არღვანაც უკვე საქმაო დრო გავიდა დღიდან საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 78 ნომრის დეკრეტის გამოცემისა ყოფილ სასამართლო დაწესებულებებში წარმოებული იმ ძველი საქმეების მოსპობის წესის შესახებ, რომელთაც უმეტესს შემთხვევაში უკვე დააკარგეს რეალური მნიშვნელობა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატ საბჭო აღგენს:

1. გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებებში წარმოებული ყველა სამოქალაქო, აგრეთვე კერძო ბრალდების წესით აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შეიძლება დამთავრდეს მხარეთა შერიგებით და რომლის განახლებაც თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლ. ნოემბრის 9-ს თარიღით და 78 ნომრით გამოცემული დე-

კრეტიისა, არ მოუთხოვიათ მხარეებს ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, — ჩაითვალოს მოსპობილად.

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი. სახალხო კომისართა საბჭოს

მდივანი ალ. სალარიძე.

1423 წ. აპრილის 17. ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 89

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1922 საგადასახადო წლის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გადიდების შესახებ.

1922 საგადასახადო წლის საშემოსავლო გადასახადისათვის რეალური ღირებულების შესაწარმუნებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. გადიდებულ იქნეს აღნიშნული წლის საშემოსავლო გადასახადი ქალაქებში და ქალაქთა მოსახლეობაში შემდეგ ნაირად:

ა) იმ პირთათვის, რომლებიც იხდიან საშემოსავლო გადასახადს 20 კატეგორიამდე — ამა კატეგორიითურთ — სათანადო ცხრილის მიხედვით (საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპუბ. მთავრობის 61-№-ის დეკრეტის თანხედ) გადასახადის რაოდენობა გადიდებულ იქნეს ორჯერ.

ბ) დანარჩენ გადახდელთათვის აღნიშნული გადასახადი გადიდეს სამჯერ.

2. ამა გადიდების შესახებ ეცნობოს გამახდელთ პუბლიკაციის მეშვეობით, ხარჯის ფურლების დაუგზავნელათ.

3. გადაიღოს — საურავ დაუდებლად — 1922 წლის საშემოსავლო გადასახადის ხაზინაში შეტანის ვადა მიმდინარე წლის მაისის 15-დე.

4. იმ პირთ, რომლებმაც უკვე შეიტანეს წინა აღრიცხული საშემოსავლო გადასახადი და ხვედრი საურავიც, უკანასკნელი (საურავი) ჩაერაცხოს ძირითად გადასახადში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდ. მოადგ. ა. გეგეჭკორი.

ამიერკავკას. ფინანსთა სახ. კომის. რწმუნებული საქართ. ბ. ბიბინეიშვილი.

სახ. კომის. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. აპრილის 23.

ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 90

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

შრომისა და შარავით ტვირთზიდვის გადასახადის ფულად გადახდევინების შეჩერების შესახებ.

ამა 1923 წლის მარტის 10-ს თარიღითა და 34 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

შეჩერებულ იქნეს შრომისა და შარავით ტვირთზიდვის გადასახადის 1923 წელში ფულად გადახდევინება ახალ განკარგულებამდე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისოსის რწმუნებული საქართველოში ბ. ბიბინეიშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. აპრილის 27, ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 91

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ლიკვიდაციამწილი ბანკების მიერ ძველი ვექსილებითა და სხვა ვალდებულებით გაცემული სესხის გადახდევინების შესახებ.

1922 წლის თებერვლის 18-ს თარიღითა და 143 №-ით გამოცემული დადგენილების დასამატებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. იმ სესხს, რომელიც ლიკვიდაციამწილი ბანკების მიერ ვექსილებისა და სხვა ვალდებულების სახით გაცემულია ადგილობრივი ფულის ნიშნებით, — სახალხო ბანკის გამგეობა გადახდევინებს ოქროს მანეთის იმ კურსის ანგარიშით, რაც იყო ვადის გასვლის დღეს და წლიური 12 პროც.-ს დამატებით დღიდან ვადის გასვლისა გადახდის დღემდე.

2. გადახდევნებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების 1 მუხ. წესით გამოანგარიშებული თანხის ოცდაათი პროცენტი.

2. დადგენილება ესე ვრცელდება იმ ვექსილებსა და სხვა ვალდებულებებზე, რაც არის ბანკის პორტფელში, მისი კორესპონდენტების ხელიში და აგრეთვე რაც გატანილია საზღვარგარეთ.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი:

ალ. სალარიძე.

1923 წ. მაისის 2. ტფილისი — სასახლე.

სირკულიარი.

ყველა სამაზრო აღმასკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის და აფხაზეთის ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოებს.

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში მოსულ ცნობით, ანტირელიგიურ მოძრაობასთან დაკავშირებით, ადგილობრივ ბევრგან ისეთ სახუროთმოძღვრებო ძეგლებსა და შიგ დაცულ სიმდიდრეთ შეეხებ, რომელთაც დიდი სამეცნიერო-საისტორიო მნიშვნელობა აქვთ.

რათა დაცულ იქმნას ზემოთხსენებული განძები ისტორიისა და კულტურისათვის, თანახმად ს. კ. საბჭოს დადგენილებისა, ა. წ. 21 მარტს, დაარსდა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი, რომელშიაც შედიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი და იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი.

გაუწყებთ რა ზემოაღნიშნულს, საგანგებო კომიტეტი წინადადებას გაძლევთ—ეკლესია მონასტერის გაუქმებისა და ჩამორთმევისას მიუცილებლად იხელმძღვანელოთ შემდეგით:

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახუროთმოძღვრო ძეგლები დაყოფილია სამ კატეგორიად:

ა) ძეგლები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში დანგრეულად, მაგრამ წარწერებითა, არქიტექტურულ ფორმით, თუ სხვა რითმე მინც დიდ ღირებულებას წარმოადგენენ;

ბ) ძეგლები—ძვირფას განძეულობითურთ, რომელნიც დღემდე ურყევად დგანან და სადაც წარმოებს ან-და უკანასკნელამდე წარმოებდა ღვდილმსახურება;

გ) ძეგლები, რომელნიც თავის თავად არავითარ სახუროთ-მოძღვრებო ღირებულებას არ წარმოადგენდნენ, მაგრამ დღემდე შემცველი არიან ძვირფას განძეულობათა.

ზემოთ დასახელებულ ძეგლთაგან პირველ ორი კატეგორიის—სათანადოდ აღნუსხული, შენახული და დაცული უნდა იქნას ისტორიისა და კულტურისათვის და, მაშასადამე, არავითარი შეკეთება, ან სხვა რაიმე მიზნისათვის მათი გამოყენება, სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა ადგილობრივ დაარსებულ საისტორიო მუზეუმების ადგილი—არ შეიძლება და სასტიკადაც აკოძალუღია.

რაიცა შეეხება თვით ძეგლებში დაცულ განძებს, ისიც სამგვარია:

- ა) ქედვით ხელოვნების კოლექციები: ხატები, ჯვრები და სხვა.
- ბ) ქსოვთ ხელოვნების ნივთები;
- გ) სხვა და სხვა შინაარსის ძველი ხელნაწერები.

პირველ ორ კატეგორიის განძეულება ღირებულებით ორ ნაწილად იყოფა:

ა) ისტორიულ-მხატვრულ მნიშვნელობის: ძვირფასი ნახელავი, იშვიათის თვლებით, ქვებითა და წარწერებით შემკული.

ბ) განძეულობა, რომელიც მხოლოდ ნივთიერ ღირებულებას წარმოადგენს.

გაუქმებულ ეკლესია-მონასტრებში თავდაპირველად საჭირო და აუცილებელია ყველა განძის აღნუსხვა დამოუკიდებლად მათი ამა თუ იმ ღირებულებისა.

აღნუსხვას აწარმოებენ ადგილობრივ აღმასკომის პასუხისმგებელი ამხანაგები, მცოდნე პირთა თანდასწრებით.

ყველა ნივთი მესამე კატეგორიისა ეკლესია-მონასტრიდან გამოღებული, თუ იგი გაუქმდა, დაუყოვნებლივ გადატანილ უნდა იქმნას, სათანადო აქტის შედგენით, მეორე კატეგორიის იმ ეკლესია-მონასტრებში, რომელნიც უფრო უზრუნველყოფილი არიან ცეცხლისა თუ სხვა ხიფათისაგან.

ასე უნდა მოხდეს რესპუბლიკის სიმდიდრეთა პირველი მოკაობვა, პირველი რეგისტრაცია, რომელსაც მოჰყვება მეორე ნაბიჯის გადადგმა. სახელდობრ, მთელს რესპუბლიკაში სათანადო პუნქტების ამორჩევა, სადაც დაარსებული იქნება საისტორიო მუზეუმები.

ამიტომ დროებითაც, სანამ საამისოდ სათანადო კომისიები შედგებოდეს, რომელნიც თვითოვლ ნივთის შესაფერ ღირებულებას გამოარკვევენ და საბოლოოდ დაადგენენ, თუ რომელი, მეორე კატეგორიაში მოქცეულ ძეგლთაგანი, უნდა გადაკედდეს მუზეუმად,—ყველა აღნუსხულ ნივთის მოვლა-პატრონობა ევალება ადგილობრივ აღმასკომის მიერ დანიშნულ პირს—აღმასკომისა და პირველის ურთიერთის პასუხისმგებლობის ქვეშ.

განძთა ნუსხისა და აქტის ერთი ცალი გამოგზავნილ უნდა იქმნას განათლების სახალხო კომისარიატში—სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვის საგანგებო კომიტეტისათვის.

აქვი გეგზავნებათ სია იმ ეკლესია-მონასტრთა და საარქეოლოგო ძეგლთა, რომელიც დაცულ უნდა იქნან სამეცნიერო მიზნით. დამატებითი ინსტრუქციების მიიღებით.

საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე, ს. ს. ს. რესპუბლიკის კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ალ. გეგეჭკორი.

წევრნი: განათლების სახალხო კომისარი: დ. კანდელაკი.

იუსტიციის სახალხო კომისარი: ი. ვარძიელი.

ს. კ. უილ. საბჭ. ცენტ. აღმ. კომ.

დეკრეტი

ამიერ. კავკასიის სოც. ფედერაციულ საბჭ. რესპ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისარიატისა და სახალხო კომისარიატისა

ქალაქთა საყოველთაო აღწერის წარმოებისათვის.

ახალ ეკონომიურ პირობებში, საქალაქო ცხოვრების განვითარების შესახებ სწორი ცნობების მიღებისათვის, ა. კ. ს. ფ. ს. რ. ყველა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში სწარმოებს, მოსახლეობის, ბინების, სახლკართა, სახელმწიფო (სამხედრო და საზღვაო უწყებათა ჩათვლით) და კერძო პირთა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა საყოველთაო აღწერა, ამ. კავკ. ც. ა. კ. თან არსებულ სავანგებო კომისიის მიერ, აღწერის წარმოებისათვის, დამტკიცებულ ინსტრუქციის თანახმად, რომელსაც ევალება აგრეთვე აღწერის საერთო ხელმძღვანელობაც.

შენიშვნა: საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში, ვინაიდან ქალაქთა მოსახლეობის, ბინების და სახლკართა აღწერა უკვე გატარდა 1922 წ. 30 ნოემბერს, წარმოებულ იქნეს მხოლოდ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა აღწერა.

1. აღწერის დღით ცხადდება ა. წ. 5 მაისი.
2. აღწერის წარმოება ცალკე რესპუბლიკებში ევალება მათ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს.

3. ყველა საბჭოთა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებს ევალებათ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს, მთ ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე აღწერაში მომუშავე პირთ მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის, და კერძოდ:

ა. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკური სამმართველოები, აღწერის წარმოებისათვის განხილ კრედიტის ფარგლებში, დააკმაყოფილოს ფულის ნიშნებით, თავის დროზე.

ბ. ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს—ნება დართოს აღწერის მონაწილე პირთ რიგს გარეშე სამგზავრო ბილეთის აღებისათვის და მიიღოს ყოველგვარი ზომები სააღწერო მასალების ადგილებზე სასწრაფოდ გადაგზავნისა და მიღებისათვის.

4. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს, მათ ადგილობრივ ორგანოებს და რეზონანსებს უფლება ექვლიათ აღწერის თანამშრომლებს მოწვევისა, რის შესახებაც ცნობებენ შრომის ბირჟას ან მის განყოფილებებს; საქაროების მიხედვით საბჭოთა დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ

თანამშრომლებს აღწერაში სამუშაოდ სტატისტიკური განიხაცობათან შეთანხმებით.

5. ეს დეკრეტი მოქმედებაში შედის ტელეგრაფით.

ა. კ. ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამბარცუშიანი.

ა. კ. ს. ს. რ. სახალხო კომისარიატის თავმჯდომარე ორახელაშვილი.

ა. კ. ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი ტალიბლი.

1923 წ. აპრილი. თფილისი—სასახლე.

შინაგან საქმ. სახ. კომის.

სირკულიარულად

ყველა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეებს.

თანახმად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა ამა წლის აპრილის 10 თარიღით 35 №-ით; რომელიც გამოკვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის“ 81-ში და „ზარია ვოსტოკის“ 84 №-ში 15 აპრ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალა შეადგინოს სია ყველა უწყების იმ დიწვესებულებებისა, განყოფილებებისა და თანამდებობის პირთა, რომელთაც ზემოაღნიშნული დადგენილების ძალით, უფლება აქვთ იხმარონ ბეჭდები სახელმწიფო ღერბით.

ამ დადგენილების სისრულეში მოყვანისა და ბეჭდების სისწორით ხმარების მიზნით, გთხოვთ ერთი კვირის განმავლობაში გვაცნობოთ თქვენდამი რწმუნებულ იმ დაწესებულებათა სრული სია, რომელთათვისაც აუცილებელია მიენიჭოს სახელმწიფოს ღერბიანი ბეჭდის შექმნისა და ხმარების უფლება.

ამ სიის შედგენისას, საქიროა მხედველობაში იქონიოთ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილება № 35.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ა. გეგუჭკორი.

საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ცინცაძე.


საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი.

17 აპრ., 1923 წ.

სირკულიარულად

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომებს.

კომისარიატში შემოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ზოგიერთ მაზრის მმართველ-განყოფილებების მიერ გაცემულ მოწმობებში არ არის აღნიშნული დაბადების და სიკვდილის სწორი თარიღი, სარე-



გისტრაციო წიგნებში აქვს აღგილი ისეთ არა ნორ-
მალურ შემთხვევებს, როდესაც ერთი ბავშვის და-
ბადებიდან მეორე ბავშვის დაბადებამდე გადის 6
და 7 თვე.

ყოველივე ამის გამო ვიღებთ რა მხედველო-
ბაში იმას, რომ მოქალაქობრივ მდგომარეობის რე-
გისტრაციას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც
ეკონომიურ-სტატისტიკურ, ისე სახელმწიფოებრივ
თვალსაზრისით, კომისარიატის სამოქალაქო გან-
ყოფილება ვთხოვთ გასცეთ განკარგულება თქვენ-
დამი რწმუნებულ მმაჩის ქვე-განყოფილებისადმი
რათა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება სარეგისტრა-
ციო წიგნ. წარმოებას, რომელიც შეფარდებული
უნდა იქნეს სინამდვილესთან და მოწმობების გაცე-
მას დროს გარკვევით და ნათლად იქმნეს აღნიშ-
ნული თარიღი დაბადების და სიკვდილისა.

საქმეთა მმართველის მოად. ცინცაძე.

სამოქ. მდგომ. განყოფ. გამგე გრიგოლია

19 აპრ., 1923 წ.

სირკულიარულად.

ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ
ერთეულთა აღმასკომებს.

თანახმად სრულიად საქართველოს სახალხო
კომისართა საბჭოს დადგენილებისა (ოქმი № 13,
11 აპრილი 1923 წ.) გეძლევათ წინადადება მიი-
ღოთ ზომები, რათა თანხები, რომლებიც გეგზავ-
ნებათ განათლების განყოფილების თანაშრომლე-
ბის ჯამაგირით უზრუნველყოფისათვის, არაერთარ
შემოხვევაში არ იხარჯებოდეს სხვა რაიმე საქი-
როებაზე.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარის მოადგილე ტალახაძე.

საქმეთა მმართველის მოადგ. ცინცაძე.

საინს.-საინფორ. განყ. გამგეს
მოადგილე ქართველიშვილი:

20 აპრ. 1923 წ.

სირკულიარულად

ყველა მაზრის, ქალაქების და ავტონომიურ
ერთეულთა აღმასკომებს.

ა/კ. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის
რწმუნებული საქართველოში იუწყება, რომ მაზ-
რებში ყოფილა შემთხვევები, როდესაც მილიციის
მიერ დაკავებული აქციზ გადაუხდელი საქონელი
აღქასკომის მიერ დაბრუნებია პატრონს მისი სილა-
რიბის გამო.

ვინაიდან ამ უკანასკნელ ხანებში გაფრცვლდა
კონტრბანდი საქონლით ვაჭრობა, აქციზის შე-
დამხდევლობა უძლური იქნება ასეთ მოგონის
წინააღმდეგ ბრძოლაში თუ მიუხედავად არსებულ
კანონისა, ადგილობრივი ხელისუფლება ხელს არ
შეუწყობს მას ამ საქმეში.

რათა შემდეგში აცილებულ იქნეს ასეთი მოგ-
ლენა მოგიწერთ მიიღოთ სათანადო ზომები, რათა
ისეთ შემთხვევაში, როდესაც მილიციის მიერ იქ-
ნება დაკავებული აქციზ გადაუხდელი საქონელი,
იგი გადაეცეს სათანადო ოქმებით ადგილობრივ
აქციზის თანაშრომელთ.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარის მოადგილე ტალახაძე.

საქმეთა მმართველის მოადგ. ცინცაძე.

საინს.-საინფორ. განყოფილების
გამგე გ. ანდრიაძე.

20 აპრილი, 1923 წ.

სირკულიარულად.

ყველა აღმასკომის თავმჯდომარეს.
მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია ქმნილ
სახლების შესახებ.

თანახმად ამა წლის 13 თებერვლის სრ. სა-
ქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომი-
ტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა, თქვენ მიერ
წარმოდგენილ სახლების სიიდან მუნიციპალიზაცია
ქმნილად გამოცხადებული იქნა ის სახლები, რო-
მელთა მფლობელების გვარებიც გამოქვეყნებულია
გაზ. „კომუნისტის“ ამა წლის 22 და 23 მარტის
№ № 65 და 64-ში.

ცხადია ამ გამოქვეყნებული დადგენილების
გარეშე დარჩენილი სახლები, რჩება კერძო მებატ-
რონეთა სრულს განკარგულებაში, რისთვისაც გე-
ვალებათ მიიღოთ სათანადო ზომები.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ცინცაძე.

კომუნალურ განყ. გამგე ნანეიშვილი.

20 აპრილი, 1923 წ.

სირკულიარულად.

ყველა სამაზრო აღმასკომ. თავმჯდომარეებს.

წინადადებას გაძლივთ დაუყონებლივ წარმოა-
დგინოთ შემდეგი ცნობები თემის აღმასკომთა

პრეზიდიუმის პირადი შექადგენლობის შესახებ.

1. თემის სახელწოდება.
 2. გვარი და სახელი პრეზიდიუმის წევრთა,
 3. სოციალური მდგომარეობა.
 4. პარტიულობა.
 5. სტაჟი.
 6. დაბადების წელი.
 7. განათლება.
 8. სპეციალობა.
 9. როგორი პარტიულ ან საბჭოთა მუშაობას ეწეოდა გასაბჭოების წინ და შემდეგ.
 10. ოჯახური მდგომარეობა.
- ეს ცნობები კომისარიატში მიღებულ უნდა იქნეს ამა წლის მაისის 10-მდე.

შ. ს. ს. კომისრის მოადგილე ტალახაძე.

საქმეთა მმართველის შოადგ. ცინცაძე.

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი.

24 აპრ., 1923 წ.

თბილ. ქალ. საბჭო.

თბილისის საბჭოს დადგენილება.

(1923 წ. 23 აპრილს).

№ 11.

შენობების შესანახ ხარჯებსა და შემოსავალს შორის თანაბრობის მიღწევის მიზნით, და აგრეთვე საბინაო ქირის შესახებ თბილისის საბჭოს ახლა მომქმედ დადგენილებების ერთიან სისტემაში მოსაყვანად თბილისის საბჭომ დაადგინა:

1) თბილისის საბჭოს ახლა მომქმედი დადგენილება № 8 1922 წლის 29 ივლისის თარიღით საბინაო ქირის გადახდევინების შესახებ ყველა იმ დამატებითი დადგენილებით, რომლებიც ამ დადგენილებამდე გამოქვეყნდა, გაუქმებული იქნეს.

2) 1923 წლის პირველი მაისიდან თბილისისა და მისი რაიონების ტერიტორიაზე შემოღებული იქნეს ქვემოთ მოყვანილი „დებულება საცხოვრებელ მიწებზე საიჯარო ქირის შესახებ“.

საბჭოს თავმჯდომარე სუხიშვილი.

მდივანი თიქანაძე.

დაბულება საცხოვრებელ ბინებზე საიჯარო ქირის შესახებ.

§ 1. საცხოვრებელ ბინებზე საიჯარო ფასების გამოსარკვევად ქ. თბილისი და მისი რაიონები

იყოფა ორ ნაწილად: ცენტრი და განაპირა რაიონები.

შენიშვნა: ქალაქის ნაწილების სახელები აღნიშნულია ამ დადგენილებასთან დართულ დამატებაში.

§ 2. საიჯარო ქირის გადახდის მხრივ გადამხდლები იყოფიან 22 კატეგორიად:

1-ლი კატეგორია.

ა) ყველა დაწესებულებების და წარმოების მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ ჯამაგირათ საქონლის 5 მანეთს.

ა) უმუშევრები, რომლებმაც წარმოადგინეს შრომის ბირჟიდან სათანადო მოწმობა, რომელიც ყოველ თვეში განახლებული უნდა იქნეს.

ბ) მიწაფეები, სასწავლო დაწესებულებებიდან სათანადო მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, თუ ისინი არ ცხოვრობენ მშობლებთან და არა აქვთ დამოუკიდებელი შრომის ხელფასი.

გ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფი ომისა და შრომის ინვალიდები.

დ) წითელ არმიელთა ოჯახების უმუშევარი წევრები.

2-ე კატეგორია.

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 5 მანეთს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის ათი მანეთისა.

3-ე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის ათ მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 15 მანეთისა.

4-ე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 15 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს 20 საქონლის მანეთისა.

5-თე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 20 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 25 მანეთისა.

6-სე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 25 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 30 მანეთისა.

7-დე კატეგორია.

ა) მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 30 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 35 მანეთისა.

ბ) შინა მრეწველები, გაერთიანებულნი კავშირში „დამოუკიდებელი შრომა“.

8.ვე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 35 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 40 მანეთისა.

9-რე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ 40 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 45 მანეთისა.

10-თე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ 45 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 50 მანეთისა.

11 ტე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც თვეში იღებენ 50 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 55 მანეთისა.

12-ტე კატეგორია-

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 55 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 60 მანეთისა.

13-ტე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც იღებენ თვეში 60 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 65 მანეთისა.

14-ტე კატეგორია.

ა) ის პირნი, რომლებიც თვეში იღებენ 65 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 70 მანეთისა.
ბ) თავისუფალი პროფესიის პირები (თავისუფალ პრაქტიკიანი ექიმები, ინჟინერები, ლიტერატორები).

15-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 70 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 75 მანეთისა,

16 ტე-კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 75 მეტს, მაგრამ არა უმეტეს 80 საქონლის მანეთისა.

17-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 80 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 85 მანეთისა.

18-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 85 მეტს, მაგრამ არა უმეტეს 90 საქონლის მანეთისა

19-ტე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც იღებენ თვეში 90 მეტს, მაგრამ არა უმეტეს 95 საქონლის მანეთისა.

20-ე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც თვეში იღებენ 95 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 100 მანეთისა.

21-თე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 100 საქონლის მანეთზე მეტს.

22-რე კატეგორია:

დანარჩენი მოქალაქენი.

§ 3. არა შრომის შემოსავლის არსებობის დროს (ვაჭრობა, კომისიონერობა და სხვა) პირველთ 21 კატეგორიის პირებისათვის და აგრეთვე აღნიშნულ პირების ოჯახების წევრებისათვის, მთელი ოჯახი უნდა ჩაირიცხოს მეოცდარე კატეგორიაში.

§ 4. საიჯარო ქირის რაოდენობა წესდება სასარგებლო საცხოვრებელი მოედანის კვადრატულ არშინზე შრომების აღვილმდებარეობის და კატეგორიების მიხედვით შემდეგის განაკვეთით:

ქალაქის ცენტ. ნაწილ.	განაპირა რაიონებისთვის.	
1-ლი კატ. პირებ.	0,3	0,2
2-რე " "	0,4	0,20
3 მე " "	0,5	0,25
4-ხე " "	0,75	0,4
5-თე " "	1,3	0,7
6-სე " "	1,55	0,8
7 დე " "	1,8	0,9
8-ვე " "	2 კ.	1 კ.
9-რე " "	2,75 კ.	1,35 კ.
10 თე " "	3 კ.	1,5 კ.
11-ტე " "	3,4	1,7
12-ტე " "	3,8	1,9
13 ტე " "	5,3	2,65
14-ტე " "	6 კ.	3 კ.
15-ტე " "	7 კ.	3,5
16-ტე " "	8 კ.	4 კ.
17-ტე " "	9 კ.	4,5
18-ტე " "	10 კ.	5 კ.
19-ტე " "	11 კ.	5,5
20-ცე " "	12 კ.	6 კ.
21-თე " "	15 კ.	8 კ.
22-რე " "	"	"

დანარჩენ მოქალაქეებისათვის შეთანხმების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 100 კ. 50 კ.

შენიშვნა 1: საიჯარო ქირა მუშა-მოსამსახურისათვის წესდება ძირითად, მტკიცეგანაკვეთების მიხედვით.

შენიშვნა 2. სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებისათვის ქირა წესდება არა უმეტეს 40 კაპეიკისა სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის კვადრატულ არშინზე; სამეურნეო ორგანოებისა, კერძო დაწესებულებების, წარმოებების და ორგანიზაციებისათვის, შეთანხმების მიხედვით.

§ 5. ძირითად საბინაო ქირას ემატება, თუ არის:

- ა) მომქვედი ვანა 1 პროც.
- ბ) საღარბაზო შესავალი 1 "
- გ) შუშაბნდებიანი გალერეა 1 "
- დ) სამზარეულო 1 "

შენიშვნა: გასაგებელ ოთახებზე, რომლებიც მხოლოდ აერთებენ ერთ ნაწილს მეორესთან, საიჯარო ქირა წესდება როგორც შუშაბანდიან გალერეებზე.

§ 6. სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის ნორმა დაწესებულია 25 კვ. არშინი სულზე.

შენიშვნა: ნორმას ზევით ერთი კაბინეტის (30 კვ. არშ.) დაქვრის უფლებით სარგებლობენ პასუხისმგებელი მუშაკები, პროფესორები, პრაქტიკის მქონე ექიმები, და აგრეთვე საპკოთა სამსახურში მყოფი ინჟინერები.

§ 7. დაწესებულებისათვის საცხოვრებელი სივრცის ნორმა არის 8 კვ. არშინი ამ დაწესებულების თითოეულ მუშაკზე (დაწესებულების მტკიცე შტატის მიხედვით), ამ ნორმის ზევით დაწესებულების ხელმძღვანელისათვის და ძირითად განყოფილების გამგების კაბინეტებისათვის დაწესებულია დაქვრა საცხოვრებელი სივრცისა არა უმეტეს 30 კვ. არშინისა თითოეულ კაბინეტზე.

§ 8. სარდაფებზე, ნახევრათ სარდაფებზე, ბნელ შენობებზე და აგრეთვე ერთსართულიან სახლებზე, სადაც არ არის წყალსადენი, საიჯარო ქირა მცირდება 50 პროცენტით.

§ 9. პირველი 21 კატეგორიის პირებს საიჯარო გადასახადი შეაქვთ თითოეული თვის დამლევს იმ კურსით, რომლის მიხედვითაც ისინი ჯამაგირს იღებენ.

§ 10. მეოცდარე კატეგორიის პირებს საიჯარო ქირა შეაქვთ წინდაწინ არა უგვიანეს თითოეული თვის 10 რიცხვისა, ამიერ-კავკასიის ბონებით გადახდის დღეს არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით.

§ 11. პირველი 21 კატეგორიის პირებმა ქირის შეტანის დროს უნდა წარმოადგინონ სამსახურის ადგილიდან მოწმობა ჯამაგირის რაოდენობის შესახებ, რომელიც თითოეულ სამ თვეში განახლებული უნდა იქნეს. წარმოებების და დაწესებულებების ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ჯამაგირის რაოდენობის შესახებ მიცემულ მოწმობების სისწორეში.

§ 12. 22-რე კატეგორიის პირებს, სამეურნეო ორგანოებს, და აგრეთვე კერძო პირებსა და ორგანიზაციებს საიჯარო ქირის დანიშნულ ვადაზე (§ 10) არ შეტანის შემთხვევაში გადახდება ჯარიმა გადაუხდელი ჯამიდან 2 პროც ანგარიშით დღეში.

§ 13. საიჯარო ქირის შექდვი თვის პირველი რიცხვისათვის არ გადახდის შემთხვევაში, არა კეთილსინდისიერი გადახდვლები, გაძევებულ იქნებიან სასამართლოს წესით.

შენიშვნა: გაძევებიდან განთავისუფლებული არიან პირველი 21 კატეგორიის გადახდვლები, თუ საიჯარო ქირის დროზე არ გადახდა მოხდა დაწესებულების ან წარმოების მიზეზით, ჯამაგირის თვის დროზე არ მიცემის გამო იმ თვეში, რომლის საიჯარო ქირა შესატანი იყო, ჯამაგირის მიღებისთანავე პირველ 21 კატეგორიის გადახდვლები მოვალე არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ საბინაო ქირა.

§ 14. სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის მონარჩომზე (დაწესებულ ნორმას ზევით) წესდება განსაკუთრებული გადასახადი: პირველი 21-თი კატეგორიის პირებისათვის, რომლებიც სახელმწიფო მომარაგებაზე იმყოფებიან, ნორმალური ქირის 100 პროც. მონარჩომ სივრცეზე, 22-რე კატეგორიის პირებისათვის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ და აგრეთვე კერძო და საზოგადოებრივი წარმოებებისა და დაწესებულებებისათვის 200 პროც., რომლე საცკრეფენ სახლის პატრონები, სახლების კამეღანტები ან დაწესებულების და წარმოების მეთაურები და აგრეთვე სახლის პატრონის მგაერი პირები და შეაქვთ ყოველთვიურად აღმასკომის სალაროში სპეციალურ ფონდში კომუნალური სახლების აღსადგენათ §§ 9 და 10 აღნიშნულ ვადებში.

შენიშვნა: იმ საცხოვრებელი სივრცის მონარჩომი, რომელიც მხოლოდ საცხოვრებსლად არის დაქერილი, საერთო ნორმიდან 30 პროცენტი ანგარიშით განთავისუფლებულია გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი სივრცე აღემატება დაწესებულ ნორმას წმინდა ტენიკურ მიზეზების გამო, შენობების ტიპის მიხედვით.

§ 15. ყველა კონფლიქტები საიჯარო ქირის გამო უნდა გაირჩეს სახალხო სასამართლოებში.

§ 16. ამ „დებულებას“. სავალდებულო ძალა აქვს ყველა შენობებისათვის.

§ 17. ეს „დებულება“ არ ვრცელდება სასტუმროებში მცხოვრებ პირებზე.

საბჭოს თავმჯდომარე სუხიშვილი.

მდივანი თიკანაძე.

ს რ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა .

25 მაისი, 1923 წ.

შ. ს. ს. კომისარის ინიციატივით, ამ ერთი თვის წინად ს.ს.ს.რ. სახ. კომის. საბჭ. შეადგინა საუწყებთაშორისო კომისია, რომელსაც დაევალი

სრული მიმოხილვა ადგილობრივ დათვალთვრების საშუალებით, როგორც ცენტრალური დაწესებულებათა ადგილობრავ მუშაობის, ისე მაზრის ხელისუფლებათა მოღვაწეობის შედეგებისა. დიდი და პასუხსაგები დავლება მიეცა საგანგებოდ შედგენილ კომისიას, რომელიც უკვე ერთი თვეა, რაც

მუშაობს პროვინციაში. ჯერ რასაკვირველია კომისიამ ვერ მახერხა და ვერც მოასწოებდა დავალების შესრულებას.

უნდა აღინშნოს, რომ ორი წლის არსებობა საბჭოთა ხელისუფლებისა საქართველოში იმდენად შიშველნიშვნელოვანი გარეობაა, რომ ჯამის გაკეთება მთელი მუშაობისათვის, აუცილებელ საქირებას წარმოადგენს. ესეც რომ არ იყოს დღემდე კიდევ ვერ იქნა გაბმული მჭიდრო ცოცხალი კავშირი პროვინციის ორგანოებსა და ცენტრის შორის; არ იყო ნათელი წარმოდგენა მთელი იმ მუშაობისა, რომელიც ადგილობრივ სწარმოებს. მართალია შ.ს.ს.კ. აქვს უახლოესი კავშირი ადგილებთან, ძვირფასი და მდიდარი მასალაა დაგროვილი აქ, მაგრამ საგანგებო კომისიის მუშაობა სულ სხვა სახისა და დარგისაა, თუნდაც იმიტომ რომ შემადგენლობა მისი ყოველგვარ კრიტიკაზე ზევით დგას. ხშირად ხდება ხოლმე დღეს, რომ ცენტრი თეორეტულად სწორად სწყვეტს რომელიმე საკითხს, მისი მოსაზრება კანონიერიც არის და ობიექტიურად მიზანშეწონილი, მაგრამ იქ, ადგილობრივ იმდენი შემოკავალი გარემოება არსებობს, ისე ხშირად მარტივი და მწვევაა მდგომარეობა, რომ ლაპიდარულად ჩამოყალიბება რომელიმე საკითხის ძნელი ხდება რაც შემდეგ იწვევს გრძელ მიმოწერას, ან და მისვლა, მოსვლით ზედმეტ ხარჯს. მართალია ისიც, რომ ადგილობრივი ორგანოები რეგულიარულად გზავნიან საინფორმაციო მასალებს: მოხსენებებს მუშაობის შესახებ, წინადადებებს, მოსაზრებათა პროექტებს და სხ. მაგრამ ყველა დეტალის გათვალისწინება ამ მასალებში შეუძლებელი ხდება. შ.ს.ს. კომისარიატი ხშირად გზავნის თავის ინსტრუქტორებს პროვინციებში ათასგვარი დავალებით, მაგრამ ვერც ეს ინსტრუქტი ამოსწორავს ხოლმე ყველა სადაო საკითხს. ხელს უშლის უსახსრობაც, საქმაო დროს უქონლობაც და მიმოსვლის სიძნელეც.

ამიტომ საგანგებო კომისიის მკზავრობა, რომელშიც ნასახიც არაა ძველი, პირველი სენატის რევიზიისაა, დიდ შედეგებს გამოიტანს, როგორც მიუღდომლობის, საქმის სიყვარულის, ისე იმ ნდობის მხრივ, რომელიც შეხვდებოთ მათ პროვინციებში. კომისიამ მთელი თავისი დაკვირვება, დაგროვილი მასალა დალაგებულის სისტემით უნდა წარუდგინოს სათანადო ორგანოთ და ამასთან მათი გამოცდილების მოსაზრებული, შესწორება რომელიც უნდა იქნეს შეტანილი მუშაობაში, ორგანოებში, პერსონალურ შემადგენლობაში, ყველა დარგში ჭეულ თავისი სიგძე სიგანით, უნდა გახდეს ის საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს შემდეგი მუშაობის გეგმა რესპუბლიკის მაშტაბში.

ამ კომისიამ უნდა დაგვანახოს რა იყო, რა არის და როგორ უნდა იქნეს. ცხადია ასეთ მიმე დავალებას, განსაკუთრებული უფლებებიც საქირდებოდა და განსაკუთრებული პირებისაგანაც უნდა შემდგარიყო იგი. სრული იმედრ უნდა ვიქონიოთ, რომ საგანგებო კომისია ღირსეულად შეასრულებს დავალებას და გაამართლებს, როგორც იმ

ნდობას, რომელიც აქვს ცენტრიდან, ისე ადგილობრივ მომუშავე ორგანოებისა და მათი თანამშრომელთაგან.

გაზრების აღმასკომეგში.

(შოკლე მიმოხილვა სამაზრო აღმასკომეა მოხსენების მიხედვით).

1. სიღნაღის მაზრა.

სიღნაღის მაზრის აღმასკომეგელ კომიტეტის სახელით შინამმართველობის განყოფილებამ ამ წელში შ.ს.ს. კომისარიატს მხოლოდ ერთი მოხსენება წარმოუგინა 17 მარტის თარიღით. მოხსენებაში დაწვრილებით არის აღნუსხული აღმასკომის საერთო მოღვაწეობა 1922 წლის განმავლობაში და როგორ; ზოგიერთი თვალსაჩინო მღწევა, ისე გათვალისწინებულია ნაკლი და საქირეობაც.

1. შინაგან საქმეთა სამმართველო.

სიღნაღის აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველომ 1922 წ. ჩაატარა საბჭოთა არჩევნები და მიიღო ყოველგვარი ზომები რათა სათანადო ხელმძღვანელობა გაეწია—როგორც აღმინისტრაციული ერთეულებისათვის, ისე თემის აღმასკომებისათვის. ამ მუშაობისათვის პირველი პერიოდი ვერ ჩატარდა სასურველი ტემპით, რადგან ცენტრის განკარგულებით მოხდა შტატების საგრძნობი შემცირება, რის გამოც შინამმართველობის განყოფილება შეუერთდა აღმასკომს, და მისი ფუნქციები გადავიდა აღმასკომის თავმჯდომარეზედ. მაგრამ რადგან აღმასკომის თავმჯდომარე დატვირთული იყო სხვადასხვა სამსახურის საქმეებით და მას ხშირად უხდებოდა მოგზაურობა როგორც რაიონებში ისე თბილსში, საგრძნობლად ფერხდებოდა ინტენსიური მუშაობა მაზრაში.

ამიტომ, სიღნაღის სამაზრო აღმასკომი პრაქტიკამ დაარწმუნა შინამმართველობის აღდგენის საქირეობაში, რათა უფრო ადვილი შესძლებელი გამხდარიყო თემების სათანადო სიბალოზე დაყენება და მათთვის სისტემატიური ხელმძღვანელობის გაწევა. ამ რიგად აღმასკომმა იმავე წლის მარტის დამლევს კვლავ ცალკე გამოჰყო შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილება და მოაწყო მისთვის საქირეო კანცელარია.

2. მილიცია, შინაგან საქმეთა სამმართველომ

პირველი ყურადღება მიაქცია უმთავრესად მილიციის რეორგანიზაციასა და თემების აღმასკომთათვის ხელმძღვანელობასა და ინსტრუქტორობას. აღსანიშნავია ის ენერგია და თავდადება, რომლის გამოჩენაც დასჯარდა სამმართველოს ამ მხრივ, რადგან აღმასკომს არა ჰქონდა საქირეო თანხები, რაც აუცილებელი იყო მილიციის მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად, მათთვის ცხენების შესაძენად და სხვა, და სხვა მოთხოვნილებათათვის ჰასუხის გასაცემად. ამ მხრივ სამმართველო საკუთარ თავის ანაბარა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან მაინც შესძლო მილიციაში მდგომარეობის გამოსწორება და მასში განამტკიცა დისციპლინა. თემების და-

თვლიერება, მათში სათანადო ცვლილებათა შეტანა და ინსტრუქტორობის გაწევა ცოტათი გაქიანურდა, რადგან განყოფილებამ ვერ იშოვა მომზადებული ინსტრუქტორები, მაგრამ აღნიშნული სიძნელეც დაძლეულ იქმნა და თემები ჩამოუყალიბდა საერთო წესით.

ამის შემდეგ სამმართველომ ზრუნვა დაიწყო სამაზრო-მილიციისა და პოლიტ-ბიუროსთვის საჭირო ცხენების შესაძენად. ამ ამოცანის შესრულება აუცილებელი იყო, რადგან სათანადოთ ვერ იყო მოგვარებული საქონლისა და კეძო ცხენების ბეგარის საქმე. ხშირად კი ეს ბეგარა ძლიერ უსისტემოთა სწარმოებდა რაიც ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევდა მცხოვრებთა შორის. ამ უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად მიღებულ იქმნა ზომები და ყველა თემის აღმასკომებთან შეძენილ იქმნა ზოგჯერ ორი და ზოგჯერ სამი ცხენი.

მაზრის მილიციაში ჩატარდა რეორგანიზაცია, მილიციიდან გამორიცხულ იქმნენ ისეთი მავნე ელემენტები, რომელნიც თავისი საქციელით სახელს უტეხდნენ მუშურ-გლეხურ მილიციას; გაჯანსაღდა და გადახალისდა აგრედვე სარაიონო მილიციაც და რაც უმთავრესია, რადიკალური ზომები იქმნა მიღებული საქმეო ცხენების შესაძენად, რადგან სიღნაღის მაზრის ტერიტორია წარმოადგენს 5400 კვადრატ. ვერსს და თვით ზოგიერთი რაიონიც 40—50 ვერსითაა დაშორებული ცენტრს. ასეთ პირობებში მაზრასა და რაიონებს შორის მუდმივი ურთერთობა და საერთო სწრაფა საქმიანი კავშირი ძლიერ ფერხდებოდა.

სამმართველომ შეიძინა ცხენების საქმეო რიცხვი, ნაწილიც ჩამოართვა დაპატიმრებულ ბანდიტებს და ამ გვარად შეავსო სამაზრო-სარაიონო მილიცია ცხენოსანი რაზმებით. ამ უკვე მილიციას ჰყავს ოთხმოცი საუკეთესო ცხენი, რომელთა შესაძენადაც დახარჯულია არა უმეტეს ასი მილიონი მანეთისა, არც ცხენების საკვებისა და საჭირო ამუნიციის შესაძენად იყო საჭირო თანხა. შინაგან საქმეთა სამმართველომ აქაც მიმართა ისევ ხალხს, რათა მას გამოეღო თავისი წვლილი. სამაზრო აღმასკომთან, უბროდკომთანა და კომუნალურ განყოფილებასთან შეთანხმებით მან შემოაოლო სალენწ-მანქანის თვითეულ ძალაზე ათი ფუთი ხორბალის გადასახადი ან ოცი ფუთი ქერისა. ამ ზომას განხორციელებამ სამმართველოს მისცა 2.200 ფუთი ხორბალი ანუ 400 ფუთამდე ქერი, რის მოკრეფაზედაც დაიხარჯა სულ 20000000 მანეთი; ხოლო თვით მოკრეფილი გადასახადი შეადგენს საშუალოდ 30000000 მანეთის საღირასს. შეძენილ იქმნა აგრედვე ასი ფუთი ბზე და იქვსი ათასი ფუთი თივა უნავიერები, საჭირო ამუნიცია, 15 წამოსახსამი ნაბადი და სხვა, სულ ამ საქმეზე დახარჯულია 497,631,315 მანეთი. გარდა ამისა შეკეთებულია მარქათმისა და ცხენების თავლა რაზედაც დახარჯულია 5500000 მანეთი.

საჭირო იყო მილიციის დაკმაყოფილება, მილიციას ცენტრიდან გამოევა ჯაშაგირი და ტანსაცმელი, მაგრამ მილიციის ჯაშაგირი მცირე იყო. სამ-

მართველომ პარტკომისა და მაზრის აღმასკომის დახმარებით მოახერხა და თვითეულ მილიციონერს მისცა ხუთი ფუთი ხორბალი დახმარების სახით.

3 თემის აღმასკომები. თემების აღმასკომებს სჭირდებოდათ განსაკუთრებული ყურადღება. აღმასკომები გარკვეულნი არ იყვნენ თავიანთ ფუქციებში და თხოულობდნენ მრავალ საკითხთა განმარტებებსა და მოქედების ინსტრუქციებს, რადგან სამმართველოს არ გააჩნდა საჭირო და გამოცდილი ინსტრუქტორების კადრი, ამიტომ ხსენებული სამმართველოს გამგეს უზღებოდა მოგზაურობა თემიდან-თემში და აძლევდა განმარტებებსა და სახელმძღვანელო მასალებს. ამას მოჰყვა სასურველი შედეგები და თემთა უპრაველსობის ორგანიზაცია მოეწყო სათანადო სიმაღლეზე.

მეორეს მხრივ ასეთი გარემოება აფერხებდა თვით სამმართველოს მუშაობას—კანცელარიაში გროვდებოდა უამრავი საქმეები, რომელთა განუხილველად დატოვება არ შეიძლებოდა. ამიტომ სამმართველო იძულებული იყო რაიონებისა და თემებისათვის მაზრიდან ეწოდებინა ცირკულიარები დარიგებები სხვა და სხვა ინსტრუქციები და თავისი საქმეც ეკეთებინა. გაგზავნილია 76 სხვა და სხვა ცირკულიარი—აქედან უმრავლესობა საბჭოთა სისტემის სისწორით გატარების შესახებ. თვით სამმართველოში განხილულია 64 საბჭოს და აღმასკომის ოქმი და დასამთავრებელი 145 საკითხი გადაცემულია სხვა და სხვა განყოფილებისათვის დასკვნისა და ცნობისათვის; 84 განხილულ ოქმთაგან დამტკიცებულია—130, უარი ეთქვა 15 კანცელარიაში თვეში შემოსულია 10 ოქმი, დანარჩენი მიწერ-მოწერა ასეთია: გასული №№-რით გაცემულია 3500 რაც შეადგენს—თვეში 500, დღეში—17 და ასე შემოსული ქაღალდების რიცხვი შეიცავს 3000 რაც შეადგენს თვეში 433, დღეში 14, გაცემულია სხვა და სხვა ხასიათის მოწმობები—რიცხვით 260 ცალი და სხვა.

4. პირადი შედგენილობის შეჩევნა თემში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თითქმის ყველა თემებში აღმასკომების თავჯდომარენი შეუფერებელნი აღმოჩნდნენ თავიანთ თანამდებობისათვის და სამმართველო იძულებული იყო შეეცვალა ისინი და გაეჩარებინა პირადი შედგენილობის შეჩევნა მაგ. მაჩხანში რამდენიმეჯერ მოხდა როგორც აღმასკომის, აგრედვე რაიმილიციის უფროსის შეცვლა. შეცვლილ იქმნენ აგრედვე შემდეგ აღმასკომთა თავჯდომარენი: ბოდბის, კელმეჩურის, ბოდბისხევის, ზემო მაჩხანის, მირზანის, ჯუგანის ძველი ანავის, საქობოსი, ვაქირის, გორჯაანის, ანავის, კარდანახის, ბაკურციხის, ახაშნის, ველისციხის, ქოდლოს, კაქეთის, არაშენდასი, ყანდაურის, კაკაბეთის, იორ-მულანლოს, შირაქის, წითელ წყაროსი, ბედის, ლაგოდების, აფენი-ბაისუბანის, ვაღდისუბანის, ყარსუბანის და სხვ. თვისად. გილზე დარჩა მხოლოდ 8 აღმასკომის თავმჯდომარე. გადაყენების უმთავრესი მიზეზი იყო უხეში მოქცევა მშრომელი ხალხისადმი და უკანონო მოქმედებანი. გარდა ამისა, აგრედვე ზოგ სამილიციო

რაიონში მოხდა ნაწილობრივი გადაჯგუფება. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი ცვლილებების მოხდენა თემში საკმაოდ აფერხებდა საქმის ინტენსიურ მსვლელობას.

საერთო ხელმძღვანელობის მიზნით სამმართველომ გადასწყვიტა ბროშურის სახით შეეღვინა და გამოეცა საბჭოთა სისტემისა და პრინციპების ცხოვრებაში გასატარებელი დარიგებანი; ამ ბროშურის პირველი ნაწილი უკვე გამომუშავებულ იქმნა მაგრამ მისი სტამბაში დამბეჭდვა ვერ მოხერხდა და ამრიგად შეჩერდა მეორე ნაწილის შედგენის საქმეც.

5. საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილება. ამ ორგანოს მოვალეობაა — მაზრის ფარგლებში თემის აღმასკომებს გაუწიოს ყოველგვარი ხელმძღვანელობა, მიაწოდოს საჭირო დირექტივები, დარიგებანი, მოახდინოს თემის აღმასკომთა რევიზიები ადგილობრივ, ხელი შეუწყოს დეფექტების თანათანობით თავიდან აცილებას, მაზრის ფარგლებში შეკრიფოს საჭირო ინფორმაცია და წარუდგინოს სათანადო მოხსენება შინამშენებლობის განყოფილებას და აგრძედე გამოიტანოს თავისი შეხედულება და დასკვნა ამა თუ იმ საკითხებზე, რომლებშიც ვერ გარკვეულან თემები.

სამუშაოდ ეს მუშაობა სუსტი იყო და მიზანი მიუხედავად რჩებოდა, რადგან განყოფილებას არა ჰყავდა გამოცდილი და მომზადებული ინსტრუქტორები. მაგრამ 1922 წ. დეკემბრიდან ამ დარგშიც საქმიანობას გამოაცხადებდა დეტყო, რადგან საინსტრ.-საინფ. განყოფილებამ გამოსძებნა და დანიშნა გამოცდილი ინსტრუქტორი.

6. მ. მ. ა. ჩ.-ის ქვეგანყოფილება. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილებას ჰყავს — ერთი გამგე და ერთი საქმის მწარმოებელი — სიღნაღში, ხოლო მაზრის თემში ჰყავს 31 თანამშრომელი. სარეგისტრაციო წიგნების მოხდენით საქმის წარმოების საერთო მდგომარეობა მაზრის ფარგლებში ასეთია: დაბადებულთა რიცხვი უღრის 3883, მიცვალებულთა 4292, ქორწინების 937, განქორწინების 69. მ.მ.ა.ჩ.-ის ქვეგანყოფილებაში ადგილი აქვს დეფექტებს, მაგ. მიუხედავად ყველა აღსაკომებისადმი დაგზავნილი ნიწერილობისა, რომ მოვლენებისათვის ჩამორთმეული მეტრიკული დავთრები ცალკე შეკაფში ინახებოდეს, ეს განკარგულება არ სრულდება და დავთრები სათანადოდ არ არის დაცული. მოუწესრიგებელთა აგრძედე საღერბო გადასახადი და სხვ. ამ ნაკლის გამოსასწორებლად გაცემულია ახალი განკარგულება.

მ.მ.ა.ჩ.-ის ქვეგანყოფილების გამგის მიერ რევიზია მოხდინილია სულ 9 თემის აღმასკომში და ნარჩენ თემებში კი არა. ამას მიზეზად ქვეგანყოფილება ასახელებს მოგზაურობისათვის საჭირო ფულის უქონლობას.

საერთოდ მიღებულია ყოველგვარი ზომები მომავალი მუშაობის უფრო გაუმჯობესებისათვის და მოხსენებაში აღნიშნულ დეფექტების ასაცილებლად.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ზ ა ნ ი

თანახმად 68 მუხ. დეკრეტის № 28 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1922 წ. აპრ. ქ. ტფილისის აღმასკომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი ქვეგანყოფილება აცხადებს რომ მოქალაქემ სამონ კუხუმის ძე შანამარიფო-მისაიფომა, შემოიტანა განცხადება მისი გვარის წანამარიფო-მისეიფო — მისეიფოზსუდ შეცვლის შესახებ.

თანახმად 68 § მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველო. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მადგა აცხადებს, რომ მოქ. იფანე ნიკოლაძის ძე კუნჯაურმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის კუნჯაურის გამეჯაურსუდ შეცვლის შესახებ.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტი № 28 საქართველო. რევოლიუციონური კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრ. ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ მოქ. ბარის ვასილის ძე ვარქნიკმა შემოიტანა განცხადება მის გვარის ვარქნიკის — ვალოდასსუდ შეცვლის შესახებ.

არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ ღვინით მოვაჭრეს იფანე მესხიშვილს კოლუბანის ქ. № 24 დაუკარგავს ღვინის გადასატანი მოწმობა № 6532—17 მარტიდან 1923 წ. 600 გელრო ღვინისა მიცემული ვილისციხეში აქციზის კონტროლიორის ბერიძის მიერ, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

ტფილისის სამოსამართლო ოლქის ახალციხის პირველი უბნის სახალხო მოსამართლე აცხადებს, რომ 1922 წ. აგვისტოში სახალხო სასამართლოს მიერ აღსასრულებლად დამტკიცებული ახალციხის გარდაცვლილი მოქალაქის კარაზეტ მიდლას-სარქისას ძე ტრდატოვის ანდერძი, რომელიც შედგენილი იყო 1899 წ. ყოფილ ახალციხის ნოტარიუს ბუღაგოთან და რეესტრში შეტანილი იყო 407 № რით.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწე № 1802 მიღებული 1913 წ. სომეხთა კონსისტორიიდან არტაშეს მის. შარტირისთვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 942 მიღებული 1909 წ. სინოდ. კონტორიდან ჯეორგი კონსტანტინეს ძე გიორგობიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 1338 მიღებული 1909 ბაქოს რკ.-გზის ეკლესიიდან დიმიტრი ნაკ. ალაფიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარკვა მეტრიკული ამონაწერი მიღებული 1921 წ. პუთიეთის ღვთისმშობლის ეკლ. ვასილ სეფეს ძე არჩვადის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარკვა მეტრიკული ამონაწერი № 103 მიღებული 1916 წ. სინოდ. კონტ. ელადიმერ ჰაფჯეს ძე ჭანაშიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარკვა მეტრიკა № 2585 მიღებული 1920 წ. სინოდ. კონტ. ვასილ გრიგ. ბაჭყალიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარკვა მეტრიკა № 3429 მიღებული სომეხთა კონსისტორიიდან არტაშეს გეორგიანის ძე გურგენიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.


დაიპარკვა მეტრიკა № 1767 მიღებული 1922 წ. სომეხთა კონსისტორიიდან ელენე არტემის ასულ ნიკოლასოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარკვა მეტრიკული ამონაწერი № 5294 მიღებული სომეხთა კონსისტორიიდან 1921 წ. რუზანა ლეონის ასული ლეონიანის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარკვა მეტრიკა № 877 მიღებული ცენტრ. მ.მ.ა.-ის კანცელარიიდან 1922 წ. ივანე ლუკას ძე გუგაჯის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარკვა მეტრიკა № 10 მიღებული 1918 წ. სინოდალური კონტორის კანცელ. ნიკოლაზ დავითის ძე ქეთიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარკვა მეტრიკა მიღებული რაქის მარ. სოფ. გორის უბნის სამრ. ეკოესიიდან 1922 წ. ანთიმოზ ნესტორის ძე გიორგობიანის სახელზე. ჩაითვ გაუქმ.



შ ი ნ ა ა რ ს ი

მე-50-ე №-ში მოთავსებული მასალები:

ოფიციალური განყოფილება.

ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი.

- 1) დეკრეტი მემკვიდრეობის სამართლის შესახებ.
- 2) დეკრეტი სავალდებულო დადგ. გამოცემის წესის და მათი დარღვევისათვის აღმინისტ. წესით დასჯის დებულებების ძალაში შესვლის შესახებ.
- 3) დებულება სავალდ. დადგ. გამოც. წესისა და მათი დარღვევისათვის აღმინისტ. წესით დასჯის შესახებ.

სახ. კომისართა საბჭო.

- 4) დადგენილებანი № № 88, 89, 90, 91.
- 5) ცირკულიარი — სიძველეთა და ხელოვნ. ძეგლთ. დამცველი კომისიის შედგენის შესახებ.

ა/გ. ფედ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომ.

- 6) დეკრეტი ქალაქთა საყოველთაო აღწერის შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

- 7) ცირკულიარები (6 ცირკ.).

თბ. ქალაქის საბჭო.

- 8) დადგ. № 11.
- 9 დადგ. — ბინებზე, საიჯარო ქირის დაწესების შესახებ.

არაოფიციალური განყოფილება.

- 10) მეთაური წერილი.
- 12) მახრების აღმასკომებში.

